



საქართველოს საგარეო სოციალისტური რესპუბლიკის  
მთავრობის

# დადგენილებათა და განვირებულებათა პრეგული

1939 წ. იანვრის 31

№ 3

თბილისი

შ 0 6 0 5 6 0

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი.

10. 1939 წ. სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

11. 1939 წ. სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

12. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქართველოს საზოგადოების მუშაობის გარდაქმნის ღონისძიებათა შესახებ.

13. სააბანო-სამრეცხაო და საპაროკმარერო მეურნეობის ხელმძღვანელობის შესახებ.

14. კალიფორნიის ფარიანით შილის ბალების დაავალების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ.

15. მუსიკალურ საწარმოთა, საესტრადო და საგასტროლო-სათეატრო საქმის სახელმწიფო შენაერთის (საქეთილეგტის) რეორგანიზაციის შესახებ.

16. სამშენებლო აგურზე ახალი საგასაცემო ფასების დაწესების შესახებ.



სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის  
ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე

10. 1939 წ. სახელმწიფოსათვის ხორცის ხავალდებულო ჩაბარების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის „1939 წ. სახელმწიფოსათვის ხორცის ხავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული 1939 წ. 27 იანვრის № 118 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენებ:

1. შენარჩუნებულ იქნას 1939 წლისათვის გადასახადის ძალის მქონე სავალდებულო ჩაბარებათა წესით კოლმეურნეობების, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების 1938 წელს მომქმედი წესი, ვადები და ნორმები.

2. სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების წლიური ოდენობის გამოანგარიშებათ თითოეული კოლმეურნეობისათვის მოხდეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორებისა და ცხვრების 1938 წლის 1 ოქტომბრისათვის არსებული სულალობის მხედვით.

3. შენარჩუნებულ იქნას 1939 წლისათვის კოლმეურნეობებისა, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების 1938 წელს მომქმედი შეღავათები შემდეგი ცვლილებებით:

ღორის ხორცის რაოდენობიდან შეღავათის 25%-ის და იმ სხვა სახის პირუტყვის ხორცის რაოდენობიდან შეღავათის 20%-ის ჩარიცხვა კოლმეურნების პირად ვალდებულებათა შესრულებაში, რომელსაც მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმები აბარებენ, არ უნდა ალემატებოდეს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების იმ წლიური ნორმის 60%-ს, რაც დაშესებულია საკოლმეურნეო კომლებისათვის.

4. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში არაუგვიანეს 1939 წლის 15 თებერვლისა და ამთავროს ხორცის ჩაბარების გალდებულებათა გადაცემა კოლმეურნეობებისა, საკოლმეურნეო კომლისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის.

ხორცის ჩაბარების 1939 წლის გეგმა შედგენილ იქნას ჩაბარებულ ვალდებულებათა სრული შესაბამისად და 1939 წლის 20 თებერვლისათვის განსახილვებათ წირედგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

5. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის აეტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თამაჯდომარეებს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებისა და რაიონული კომიტეტების მდივნებს ხელმძღვანელობა გაუწიონ კოლმეურნეობებისა, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნული კომლებისათვის გადაცემა და ამთავროს გალდებულებათა გადაცემა კოლმეურნეობებისათვის.

ლი მეურნეობებისათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების ვალდებულების გადაცემის საქმეს და უზრუნველყონ 1939 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების ვალდებულებათა სწორად გადაცემა.

6. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში 1939 წ. 30 იანვრისათვის მოიწვიოს დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებისა და რაიონულებულების საინსტრუქციო თაობირი 1939 წელს ხორცის, რძისა და მატყლის ვალდებულებათა ჩაბარების საკითხებზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს

თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის

მდივანი კ. ჩარცევიანი.

1939 წ. იანვრის 29. № 136.  
თბილისი.

## 11. 1939 წ. სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის „1939 წ. სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული 1939 წ. 27 იანვრის № 117 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. შენარჩუნებულ იქნას 1939 წლისათვის კოლმეურნეობებისა, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების 1938 წელს მომქმედი წესი, ნორმები და ვადები.

2. კოლმეურნეობებსა, საკოლმეურნეო კომლებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების წლიური ოდენობის გამოანგარიშება მოხდეს ცხვრებისა და თხების 1939 წ. 1 იანვრისათვის არსებული ფაქტიური სულადობის საფუძველზე.

3. შენარჩუნებულ იქნას 1939 წელს კოლმეურნეობათა, საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების 1938 წ. მომქმედი შეღავათები შემდეგი ცვლილებებით:

მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმების მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული მატყლის რაოდენობიდან შეღავათის  $20\%$ , ჩათვლა კოლმეურნეთა პირადი ვალდებულებების შესრულებაში არ უნდა აღემატებოდეს მატყლის ჩაბარების იმ წლიური ნორმის  $60\%$ -ს, რაც დაწესებულია საკოლმეურნეო კომლებისათვის.



ნახევრადუხეშ მატყლიან მეტისულ ცხვრებზე, ოომლებიც კოლმეტულად გამოიყენებოდა მათ და თვითეულ სულზე მატყლის ჩაბარების ოდენობა გამოანგარიშებულ იქნას უხეშმატყლიანი ცხვრებისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარებს, საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტების და რაიონული კომიტეტების მდივნებს ხელმძღვანელობა გაუწიონ კოლმეტურნეობებისა, საკოლმეტურნეო კომლებისა და ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის მატყლის ვალდებულებათა ჩაბარების საქმეს და უზრუნველვყონ 1939 წ. სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ვალდებულებათა სწორად გადაცემა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს

თავმჯდომარე კ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის

მდივნები კ. ჩარკვიანი.

1939 წ. იავნრის 29. № 137.  
თბილისი.

## სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

12. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქართველოს საზოგადოების მუშაობის გარდაქმნის ღონისძიებათა შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 3 დეკემბრის № 1283 დადგენილებისა „სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგნენ:

1. გაუქმდეს ყველა არსებული გამოსალები და ანარიცხები, რასაც წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქართველოს საზოგადოების სასარგებლოდ ახდევინებენ თეატრებისა და კინოების ბილეთებზე, საზღვარგარეთის პასპორტებზე, ვიზებსა და საკონსულო გამოსალებზე.

ამ გამოსალებთა და ანარიცხებთა თანხა შეტანილ იქნას თეატრებსა და კინოს ბილეთების საფასურში, საზღვარგარეთის პასპორტებისა და ვიზების ღირებულებაში და საკონსულო გამოსალებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს ეს შემოსავალი 1939 წ. საფინანსო გეგმებსა და ბიუჯეტებში სათანადო ორგანიზაციების მიხედვით.

3. ჩამოერთვას წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქართველოს საზოგადოებასა და საგზაო კომიტეტს ყველა სამეურნეო საწარმო და სამ-

კურნალო სანიტარული დაწესებულებანი, ოომლებიც არ არიან დაკავშირდული მათ ძირითად მუშაობასთან, და გადაეცეს სათანადო ორგანიზაციებს, თანახმად სიისა, 1939 წ. 1 იანვრისათვის არსებული ბალანსის მიხედვით, უსასყიდლოდ მოელი აქტივითა და პასივით.

4. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქართველოს საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის, აგრეთვე წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საგზაო კომიტეტის დაწესებულებათა და საწარმოთა გადაცემისათვის ხელმძღვანელობის გასწვევად მოეწყოს ცენტრალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ი. ი. ჭოლოშვილი (თავმჯდომარე) — წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქართველოს საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, გ. ნ. მაისურაძე — წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. დალუნაშვილი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, ამხ. ვ. ხახანაშვილი — საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ამხ. გულაუ — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი.

5. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის დაწესებულებათა და საწარმოთა სხვა უწყებებისათვის გადასაცემად, წინადადება მიეცეს ამხ. ჭოლოშვილს (ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე) მოსწყოს სხვა ორგანიზაციებისათვის გადასაცემ თითოეულ საწარმოში კომისია შემდეგი შემადგენლობით: წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქართველოს საზოგადოების წარმომადგენელი, იმ უწყების წარმომადგენელი, ორმელსაც სათანადო დაწესებულება ან საწარმო გადაეცემა, და გადასაცემი დაწესებულების ხელმძღვანელი.

6. გაფრთხილებულ იქნან იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებისაგან იღებენ საწარმოებს, რომ საწარმოთა და დაწესებულებათა ფაქტიური მიღებისა და ჩაბარების თარიღის დამოუკიდებლად მათ მიერ მიღებულ ობიექტებზე 1939 წ. საგვევრო და საფინანსო ხარჯთაღრიცხვებს შეადგენ ისინი 1939 წ. 1 იანვრიდან.

7. დაეკისროს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს და საგზაო კომიტეტს:

ა) წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის სანიტარული საგუშავოებისა და სანიტარული რაზმების ფართო ქსელის მოწყობა საწარმოებში, კოლეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და საცხოვრებელ ახლებში;

ბ) მასობრივ-სანიტარული კადრების მომზადება (დების, სანიტრების, დეზინფექტორების, მ. ს. თ. პირველი და მეორე საფეხურის ნიშნოსნების და ა. შ.);

გ) საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება სამოქალაქო მოსახლეობის შორის ქვეყნის სანიტარული თავდაცვის საკითხებზე.

8. დაწესდეს, რომ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მუშაობების ცენტრალური კომიტეტის, საგზაო კომიტეტის და მათი ოფიციალობრივი ორგანიზაციების სახსრები შესდგება საწევრო ანარიცხებისა და იმ ასიგნობებისაგან, რომლებსაც სახელმწიფო გაიღებს მასობრივ-სანიტარულ მუშაობისათვის.

9. სანიტარული საგუშავოების შექურვის გაუმჯობესების და სანიტარულ თავდაცვითი მუშაობის საჭირო ღონისძიებათა გატარების უზრუნველყოფის მიზნით, წინადადება მიეცეს სახალხო კომისარიატებსა და უწყებების ყველა ხელმძღვანელს გაითვალისწინონ 1939 წ. საფინანსო გეგმებში ამ მიზნისათვის საჭირო ასიგნობანი.

10. წინადადება მიეცეს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქართველოს საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს ამბ. ჭოლოშვილს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისართან ერთად 2. დეკადის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაზილეველად წარმოუდგინოს კონკრეტული ღონისძიებანი წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქართველოს საზოგადოების მუშაობის გაძლიერებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1939 წ. იანვრის 25. № 89.

თბილისი.

13. სააბანო-სამრეცხაო და საპარიკმახერო მეურნეობის ხელმძღვანელობის შესახებ.

ვინაიდან საპარიკმახეროები წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქართველოს საზოგადოების გამგებლობილან საქართველოს სსრ კომუნიალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემას გადაეცა, და იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს აბანოებისა, სამრეცხაოებისა და საპარიკმახეროებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საპარიკმახეროებისა და სააბანო-სამრეცხაო მეურნეობის საერთო ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, მუშათა, სააგარაჟო და საკურორტო დაბებში და რაიონულ ცენტრებში დაკეისროს საქართველოს სსრ კომუნიალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას ცვლილება საქართველოს სსრ კომუნიალურ მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულებაში, რომელიც და-

შტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 1 ივნისის დაგენილებით (საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 2, მუხ. 6), და დაემტოს დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტში არსებულ ჩამოთვლას სიტყვა „საპარიკმახეროები“.

2. სააბანო-სამრეცხაო და საპარიკმახერო მეურნეობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარის კომუნალურ სამმართველოსთან შეიქმნას სააბანო-სამრეცხაო და საპარიკმახერო მეურნეობის განყოფილება ხუთი საშტატო ერთეულის შემადგენლობით.

შინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოცყოს დამატებით 3 საშტატო ერთეული სააბანო-სამრეცხაო და საპარიკმახერო მეურნეობის განყოფილებისათვის, ხოლო საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა გამოცყოს 2 საშტატო ერთეული კომისარიატის საშტატო კონტინგენტის ხარჯზე.

3. თბილისის საქალაქო საბჭოს კომუნალურ განყოფილებასთან არსებული აბანოების ტრესტი რეორგანიზებულ იქნას სააბანო-სამრეცხაო და საპარიკმახერო მეურნეობის ტრესტად. რომელიც სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით და ექვემდებარება თბილისის საქალაქო საბჭოს კომუნალურ განყოფილებას, ამასთან თავმოყრილ იქნას იმ ტრესტში ქალაქ თბილისში არსებული ყველა კომუნალური აბანოს, სამრეცხაო და საპარიკმახეროს ხელმძღვანელობა.

4. მოწყოს ბათუმის, ქუთაისის და სოხუმის საქალაქო საბჭოების კომუნალურ განყოფილებებთან სააბანო-სამრეცხაო და საპარიკმახერო მეურნეობის ტრესტები.

5. ყველა სხვა ქალაქში, ავტოთვე რაიონულ ცენტრებში სააბანო-სამრეცხაო და საპარიკმახერო მეურნეობის ხელმძღვანელობა დაეკისროს საქალაქო საბჭოების და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების კომუნალურ განყოფილებებს.

6. დაწესდეს, რომ საქალაქო საბჭოებისა და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების კომუნალური განყოფილებანი უშუალოდ განაგებენ ყველა კომუნალურ აბანოს, სამრეცხაოს, ავტოთვე საპარიკმახეროს, რომლებიც კომუნალურ განყოფილებებს გადაეცათ წითელ ჯვრისა და წითელი ნახევარმოვარის საზოგადოების სისტემიდან, ხოლო სარეწაო კომპერაციის და სხვა ორგანიზაციების სისტემაში არსებული საპარიკმახეროების მიმართ ანხორციელებენ საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს. \*

კატეგორიულად აეკრძალოს საქალაქო საბჭოებისა და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების კომუნალურ განყოფილებებს საპარიკმახეროების ჩამოთვლევა სარეწაო კომპერაციისათვის.

7. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს სააბანო-სამრეცხაო და საპარიკმახერო მეურნეობის სამე-

ურნეო ანგარიშითი ტრესტების სტრუქტურა და განახორციელოს ღონისძიებების ნი, რომელიც უზრუნველყოფენ როგორც წითელი ჯერისა და წითელი ნაცე-  
ვარმთვარის საქართველოს საზოგადოების მიერ გადაცემული საპარიქმახეროე-  
ბის, ისე არსებული აბანოებისა და სამრეცხაოების სანიმუშო მდგომარეობას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1939 წ. იანვრის 25. № 107.  
თბილისი.

#### 14. კალიფორნიის ფარიანით ხილის ბალების დაავადების ლიკვიდაციის ღო- ნისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ მიუხედა-  
ვათ იმ უდიდესი ეკონომიკური ზარალისა, რასაც მეხილეობას აყენებს კალი-  
ფორნიის ფარიანის გავრცელება (იწვევს ახალგაზრდა ხევბის დაღუპვება, ამცი-  
რებს ხილის ნარგავების ცხოველმოქმედობას, იმცირებს მოსავლიანობის ღირე-  
ბულებას და სხვ.) ამ მავნებლებთან ბრძოლა საქართველოს სსრ-ის რაიონებში  
არადამატყუფილებლად მიმდინარეობს. დამუშავებულია ხილის ნარგავების  
მხოლოდ  $21,3\%$  (გეგმით გათვალისწინებული  $10.130$  ჰექტარის ნაცვლად, დამუ-  
შავებულია  $2.153,7$  ჰექტარი).

განსაკუთრებით ჩამორჩება ბალების მკურნალობა აფხაზეთის ასსრ-ში (შე-  
სრულების  $13,5\%$ ), აჭარის ასსრ-ში ( $22,6\%$ ), ცხაკაის რაიონში ( $15,9\%$ ), წუ-  
ლუკიძის რაიონში ( $2,6\%$ ), გორის ( $29,8\%$ ), ხოლო ხობის, ჭიათურის, მახარა-  
ძის და ზუგდიდის რაიონები სრულიად არ შესდგომიან მკურნალობას.

ბალების მკურნალობის ასეთი ნელი ტემპი წარმოადგენს იმის შედეგს,  
რომ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები და რაიონული სამიწათმოქმედო  
ორგანოები ვერ აფხაზებენ კალიფორნიის ფარიანთან ბრძოლის საქმის მნიშვნე-  
ლობას, სთვლინ რა მას მეორეხარისხოვან სამუშაოდ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახალხო კომი-  
სართა საბჭოების თავმჯდომარეებს, გორის, ქუთაისის, წულუკიძის, ხობის,  
ჭიათურის, აბაშის, ცხაკაის, გეგეტკორის, ზუგდიდის, მახარაძის, ლანჩხუთის,  
ჩოხატაურის და ფოთის რაიონების რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების  
თავმჯდომარეებსა და რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილებების გამგეებს  
დაუყოვნებლივ მოისმინონ სახალხო კომისართა საბჭოების და რაიონული აღმა-  
სრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების სხდომებზე ინფორმაცია კალიფორ-

ნის ფარიანის წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ და სისტემურულ მეთვალყურეობა გაუწიონ ფარიანთან ბრძოლის მუშაობის მიმდინარეობას.

დასახონ თითოეულ მეურნეობაში კონკრეტული ღონისძიებანი იმ ანგარიშით, რომ ყველა ბალისა და ხილის ცალკეული ნარგავების მურნალობა დამთავრდეს 1939 წ. 20 მარტისათვის.

2. წინადაღება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (ამ. ხომტარიას) 2 დეკადის ვადაში შეაქეთოს არსებული მძღავრი აპარატურა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და უზრუნველპყოს აპარატურის მთელი არსებული რაოდენობის სრულად, მაქსიმალური დატვირთვით და შეუფერხებლივ გამოყენება კალიფორნიის ფარიანის წინააღმდეგ საბრძოლველად.

3. წინადაღება მიეცეს საქსოფლმომარაგების მმართველს (ამ. იგიოთხანოეს) 1939 წ. 10 თებერვლის უზრუნველპყოს ყველა რაონი საჭირო რაოდენობის კონცეტრატებით, ზეთოვანი ემულსით, აპარატურითა და დამავრჩელებელი კულსონებით თანახმად საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განრიგისა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1939 წ. ანვრის 25. № 112.

თბილისი

15. მუსიკალურ საწარმოთა, საესტრადო და საგასტროლო-სათეატრო საქმის სახელმწიფო შენაერთის (საქფილეგტის) რეორგანიზაციის შესახებ.

მუსიკალური საკონცერტო მუშაობის უკეთ დაყენების, შემსრულებელთა ძალების მხატვრული დონის ამაღლებისა და მათი სწორად გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გამოიყოს მუსიკალურ საწარმოთა, საესტროადო და საგასტროლო-სათეატრო საქმის სახელმწიფო შენაერთის (საქფილეგტის) სისტემიდან დამოუკიდებელ ორგანიზაციად საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია შემდეგი ობიექტებით: ვლკალისტთა კვარტეტი და სიმებიანი კვარტეტი.

2. მუსიკალურ საწარმოთა, საესტროადო და საგასტროლო-სათეატრო საქმის სახელმწიფო შენაერთს (საქფილეგტს) დაერქევს საქართველოს სახელმწიფო ესტრადა, რომელსაც დაეკისროს საესტროადო-საკონცერტო და საგასტროლო-თეატროალური მომსახურეობის ფუნქციები შემდეგი ობიექტების გადაცემით:

- 1) გუნდი პაკიორიას ხელმძღვანელობით;
- 2) გუნდი კავსაძის ხელმძღვანელობით;

- 3) გუნდი თარხნაშვილის ხელმძღვანელობით;
  - 4) მეჩინგურეთა ამსაბლი ფუცხვერაშვილის ხელმძღვანელობით;
  - 5) ჯაზ—ოქესტრი;
  - 6) სავოდევილო ანსაბლი;
  - 7) ანსაბლი—ოქტეტი ცაგარეშვილის ხელმძღვანელობით;
  - 8) საქართველოს საესტრადო—საკონცერტო ძალები.
3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი—ამხ. ციმაკურიძეს 1939 წ. მუსიკალურ საწარმოთა, საესტრადო და საგასტროლო-სათეატრო საქმის სახელმწიფო შენარჩოთისათვის (საქვილეგტის) გალებული სახსრებიდან გამოჰყოს სახსრები საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის შესანაბად.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თაემჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს საქმეთა შმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1939 წ. იანვრის 25. № 123.

თბილისი.

## 16. სამშენებლო აგურზე ახალი საგასაცემო ფასების დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „აგურზე ახალი საგასაცემო ფასების დაწესების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1939 წ. 11 იანვრის № 18 დადგენილების შესაბამისად, დაწესდეს 1939 წ. 1 იანვრიდან რაიონებს მიხედვით I ხარისხის აგურის ახალი, დიფერენცირებული საგასაცემო ფასები ფასდაკლებით მე-II ხარისხისათვის—15%, და მე-III ხარისხისათვის—30%,, I ხარისხის ფასებთან შედარებით (იხ. დანართი), რაც გავრცელდეს აგურის კველა მწარმოებელზე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

2. გაუქმდეს სამშენებლო აგურის დაფილობრივი რესპუბლიკური სტანდარტი, რაც მიღებულია საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ, და აგურის ხარისხიანობის გამორკვევისას სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული საერთო საკავშირო სტანდარტი 5998.

3. დაევალოს სამრეწველო ბანკს, კომუნალურ ბანკს და სხვა სპეციალისტებს ჩაატარონ გადაანგარიშება (მწარმოებლებსა და მყიდველებს შორის) 1939 წ. 1 იანვრის შემდეგ რეალიზებული აგურის მიხედვით, ამ დადგენილებით დაწესებული ახალი საგასაცემო ფასების თანახმად.

4. აგურის ხარისხის გაუმჯობესების სტიმულირების და საწარმოთა მიერ რეალიზებული აგურის სწორი ხარისხობრივი ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, წინადადება მიეცეს:

ა) საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი  
მოაწყოს ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანისთან საკონტროლო ლაბორატორია,  
რომელსაც დააკისროს სისტემატურად შეამოწმოს აგურის ხარისხი და ოვეში  
ერთხელ მაინც წარმოადგინოს ცნობები დასავლეთ საქართველოს რაიონებში  
მდებარე ქარხნების მიერ გამოშვებული აგურის ხარისხის შესახებ;

ბ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებულ სა-  
კონტროლო-საცდელ ლაბორატორიას—მოაგვაროს იმ აგურის ხარისხის გამო-  
ცდის სისტემატურად ჩატარება, რომელსაც უშვებენ ქ. თბილისის ქარხნები და  
აგურის სხვა ძირითადი მწარმოებლები აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში,  
და ოვეში ერთხელ მაინც მისცეს ცნობები მათ მიერ გამოშვებული აგურის ხა-  
რისხის შესახებ;

გ) ყველა მწარმოებელს—მათ მიერ გამოშვებული აგური წარადგინონ გა-  
მოსაცდელი უმომავნიშნულ ლაბორატორიებში თვეში ერთხელ მაინც.

5. ძალიდაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართო  
საბჭოს დადგენილებანი 1936 წ. 3 მაისის „ადგილობრივი საშენი მასალის საგა-  
საცემო ფასების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 19, მუხ. 115), 1936  
წ. 29 ივნისის „აგურზე და კრამიტზე ხარისხის მიხედვით ფასების დაწესების  
შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 25, მუხ. 143) და 1937 წ. 17 ოქტომ-  
ბრის „აგურისა და კირის ფართო მოხმარების საგასაცემო ფასების შემცირების  
შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 16, მუხ. 116) იმ ნაწილში, რაც აგუ-  
რის ფასების დაწესებას შეეხება.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1939 წ. იანვრის 27. № 129.

თბილისი.

სამშენებლო აკურის 1939 წ. ხაგახაცემო ფასები.

(მანეთობით ათას ცალში ფრანკო ქირხანა)

რ ა ი ღ ნ დ ა ბ	ჭითელი ა გ უ რ ი		
	I ხარისხი	II ხარისხი	III ხარისხი
I. ქ. თბილისი, თბილისის რაიონი, ცხაყაის რაიონი . . . . .	148	125	104
II. სოხუმის, მახარაძის, ზუგდიდის და ლან- ჩხუთის . . . . .	170	144	119
III. ქასპის, ხაშურის, გურჯაანის, თელავის, თბილისის, ზესტაფონის, გორის, ჩიათესის, ქუთაისის, ყარაას . . . . .	186	158	130
IV. ბორჯომის, სტალინირის, სამტრედიას, ბაღდადის, ოჩეთირის . . . . .	208	176	146
V. ახალციხის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, ჭიათურის, სიღნაღის, ჩხოროშევის, გმირ- ქორის, გუდაუთის, გაღის, ბორჩალის, ონის, აბაშის, ყვარლის, ლაგოდეხის, წუ- ლევისის . . . . .	234	198	164

რიცხვი 33,35

კე მნელ

1 12 CS GP 3




---

გამომცემის: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

---

ენდა ჩაბარდეს პირველ რიტი  
ხელწერილის ქვეშ

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

საქ. სსრ საკომისაბჭოს გამომცემლობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68.

მთავრ. № ბ-429

შეკვ. № 367

ტირაჟი 2000